საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება

თბილისი

MES 5 21 0000521351

04/06/2021

2021 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩატარების განრიგის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის, სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 მარტის N118 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების, „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის, „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის N227 ბრძანებით დამტკიცებული „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულების“ მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2021 წლის 3 ივნისის N519061 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს:

ა) **2021 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების განრიგი:**
ა.ა) პირველი - 2 და 5 ივლისი (პირველი და მეორე სესია) - ქართული ენა და ლიტერატურა;
ა.ბ) პირველი ივლისი (პირველი სესია) - ოსური ენა;
ა.გ) პირველი ივლისი (პირველი სესია) - აფხაზური ენა;
ა.დ) უცხოური ენა:
ა.დ.ა) 6 ივლისი (პირველი სესია) - რუსული ენა;

ა.დ.ბ) 6 ივლისი (პირველი და მეორე სესია) - ინგლისური ენა;
ა.დ.გ) 6 ივლისი (მეორე სესია) - ფრანგული ენა;
ა.დ.დ) 7 ივლისი (პირველი სესია) - რუსული ენა;
ა.დ.ე) 7 ივლისი (პირველი და მეორე სესია) - ინგლისური ენა;
ა.დ.ვ) 8 ივლისი (პირველი სესია) - გერმანული ენა;
ა.დ.ზ) 8 ივლისი (პირველი და მეორე სესია) - ინგლისური ენა;
ა.ე) 9 ივლისი (პირველი და მეორე სესია) - მათემატიკა;
ა.ვ) 12 -13 ივლისი (პირველი და მეორე სესია) - ისტორია;
ა.ზ) 14 ივლისი (მეორე სესია) - ბიოლოგია;
ა.თ) 15 ივლისი (მეორე სესია) - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება;
ა.ი) 15 ივლისი (მეორე სესია) - ქიმია;
ა.კ) 16 ივლისი (მეორე სესია) - გეოგრაფია;
ა.ლ) 19 ივლისი (პირველი და მეორე სესია) - ზოგადი უნარები;
ა.მ) 20 ივლისი (პირველი სესია) - ფიზიკა;
ა.ნ) 20 ივლისი (პირველი სესია) - ლიტერატურა;
ა.ო) 20 ივლისი (მეორე სესია) - ზოგადი უნარები;
ა.პ) 28 ივლისი (მეორე სესია) - სტუდენტთა საგრანტო კონკურსი;
ბ) 2021 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩატარების განრიგი:
ბ.ა) 27 ივლისი (პირველი სესია) - წაკითხულის გააზრება, ანალიტიკური წერა;
ბ.ბ) 28 ივლისი (პირველი სესია) - ლოგიკური მსჯელობა, რაოდენობრივი მსჯელობა;
ბ.გ) 29 ივლისი (პირველი და მეორე სესია) - წაკითხულის გააზრება, ანალიტიკური წერა;
ბ.დ) 30 ივლისი (პირველი და მეორე სესია) - ლოგიკური მსჯელობა, რაოდენობრივი მსჯელობა;
2.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრი მიხეილ ჩხენკელი